
თანასწორობის ძირითადი უფლება
კონსტიტუციურ-სამართლებრივი გამართლება
კაზუსის აშრახსნის სქემა
უთანასწორი მოპყრობა არ კრძალავს თანასწორობის ძირითად უფლებას,
თუ მას გააჩნია გამართლებული საფუძველი.
პირველ ეტაპზე უნდა დადგინდეს **რამდენად ინტენსიური**
უთანასწორი მოპყრობა, ამისათვის შეფასდეს:
• რაც უფრო ახლოა საკარო ხელისუფლების მიერ გამოყენებული
დიფერენციირების კრიტერიუმი კონსტიტუციის მუ-14 მუხლით
განსაზღვრულ კრიტერიუმებთან, მით უფრო ინტენსიური
უთანასწორი მოპყრობა;
• რაც უფრო ნაკლებად შეუძლია პირს გაცლა მოახდინოს საკარო
ხელისუფლების მიერ გამოყენებულ დიფერენციირების კრიტერიუმზე,
მით უფრო ინტენსიურია უთანასწორი მოპყრობა სახელის შეცვლა
მხოლოდ ქირურგიული ჩარევით შეიძლება;
• ინტენსიურია მოპყრობა, რომელიც ხელს უშლის პირს
კონსტიტუციით აღიარებული უფლების რეალიზაციაში;
• არჩევნების უფლების ნებისმიერი შეზღუდვა განიხილება ინტენსიურ
უთანასწორი მოპყრობად.

თანასწორობის ძირითადი უფლება

კაზუსის ამოხსნის სქემა

უთანასწორი მოპყრობის ცნება: საჯარო ხელისუფლება აბორიგენებს
უთანასწორი მოპყრობას, როდესაც იგი მნიშვნელოვნად თანასწორს
თვითნებურად უთანასწორად ან მნიშვნელოვნად უთანასწორს
თვითნებურად თანასწორად ეპყრობა;

თანასწორობის ძირითადი უფლებით შეზღუდული სუბიექტი:
მხოლოდ და მხოლოდ საჯარო ხელისუფლება. ამიტომ, პირველ
რიგში დგინდება კაზუსის მოცემულობაში აღწერილი პრობლემური
აქტი წარმოადგენს თუ არა საჯარო ხელისუფლების აქტს.

განხილულ უნდა იქნას:

- ზემოქმედებს თუ არა საჯარო ხელისუფლება გარკვეულ
  პირზე/პირებზე;
- **ანალოგიურად** ზემოქმედებს თუ არა (სხვაგვარად ხომ არ
  ზემოქმედებს ან საერთოდ თუ ზემოქმედებს) იგივე საჯარო
  ხელისუფლება სხვა პირზე/პირებზე;
- არსებობს თუ არა მსგავსება განხილულ პირებს და/ან სიტუაციებს
  შორის. ამისთვის უნდა დადგინდეს აერთიანებთ თუ არა
  შესადარებელ პირებს და სიტუაციებს საერთო პუნქტი და
  შეიძლება თუ არა მათი გაერთიანება რაიმე ზემდგომი ცნების ქვეშ


თანასწორობის მიხედვით უფლება
კაზუსის ამოხსნის სქემა
თუ უთანასწორო მოპყრობა შედარებით ნაკლები ინტენსივობით ხასიათდება, საკმარისია იმის დადგენა, რომ უთანასწორო მოპყრობას რაიმე გონივრული ლეგიტიმური საფუძველი გააჩნია;
თუ უთანასწორო მოპყრობა შედარებით ძლიერი ინტენსივობით ხასიათდება, განიხილება შესაბამება თუ არა საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტი
პროპორციულობის (ზომიერების) პრინციპს, ანუ:
• დიფერენცირება უნდა ემსახურებოდეს ლეგიტიმურ საჯარო მიზანს;
• საჯარო ხელისუფლების მიერ განხორციელებული აქტი უნდა იყოს გამოსადეგი ლეგიტიმურ საჯარო მიზნის მისაღწევად;
• უთანასწორო მოპყრობის ფორმა და ინტენსივობა უნდა იყოს აუცილებელი ლეგიტიმურ საჯარო მიზნის მისაღწევად;
• უთანასწორო მოპყრობა უნდა იყოს შესაბამისი (ვიწრო გაგებით პროპორციული).